მცირე სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ქ. თბილისი, ვ. ბარნოვის ქ. №76-სა და ვ. ბარნოვის I ჩიხი №4-ში მდებარე საპროექტო სამუშაოებზე

ქ. თბილისი

2016

ტერიტორია, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის განაშენიანების რეგულირების ზონაში. აღნიშნული ტერიტორია ისტორიულად ჩამოყალიბებულ სახეს ატარებს, რომელის ეკლექტური ხასიათი მონაკვეთის განვითარების ასწლიან ისტორიას მოიცავს. ტერიტორიისათვის სახასაითოა ერთგვარი გარდამავალი ურბანული გარემო, სადაც ერთმანეთის გვერდი-გვერდაა – XIX-XX სს-თა მიჯნის თბილისის არქიტექტურული ესთეტიკა და XX ს-ის საბჭოთა პერიოდისთვის დამახასიათებელი გაშლილი სივრცე და არქიტექტურული ფორმების გამარტივებისკენ მიმართული სულისკვეთებით შექმნილი მოცულობები.

სწორედ ასეთი ერთგვარად ეკლექტური ისტორიული გარემოთი ხასიათდება ბარნოვის ქუჩა და უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო ობიექტის მიმდებარე ტერიტორია. ერთმანეთის მომიჯნავედ XIX-XX სს-ის შენობების გვერდით საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშები და ამავე პერიოდის მაღალსართულიანი შენობებიც კი გვხვდება.

ვ. ბარნოვის ქ. №76-ში მდებარე შენობაზე, 2014 წელს შესრულდა სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, სადაც დეტალურად მოხდა განხილვა შენობის მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულის და განისაზღვრა კონკრეტული რეკომენდაციები საპროექტო შენობაზე (იხ. შესაბამისი კვლევა). თუმცა პროექტირებისას არ მოხდა მისი გათვალისწინება, შესაბამისად გაჩნდა იდეა ახალი პროექტის დამუშავებისა.

წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს, არამხოლოდ ვ. ბარნოვის ქ. №76-ში მდებარე შენობის, არამედ ვ. ბარნოვის I ჩიხის მხარეს არსებული მცირე შენობების ერთიან პროექტში ჩართვას.

ვ. ბარნოვის I ჩიხი-ს მხატვრული სახე, XX ს-ის II ნახევარში ჩამოყალიბდა, სადაც მრავალსართულიანი, სხვადასხვა პერიოდში აგებული შენობები გამოდის. ურბანული ქსოვილი, რელიეფს დაქვემდებარებული მასშტაბური მოცულობებით იქმნება. მათ შორის არქიტექტურული თვალსაზრისით მეტად საინტრესოა საბჭოთა ესთეტიკით აგებული „ხიდებიანი“ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.



ბარნოვის I ჩიხი

ვ. ბანოვის ჩიხი თავად არათანაბარი რელიეფით ხასიათდება როგორც ჩანს თავის დროზე აქ ბუნებრივი კლდეც ყოფილა, რომელიც ჩამოჭრეს, გაამაგრეს და მასზე მრავალსართულიანი კორპუსიც ააგეს. შესაბამისად შენობები ორ იარუსად ლაგდება: კლდემდე და მის ზემოთ.

ვ. ბარნოვის I შეს. №4-ში მდებარე შენობა, ბარნოვის ქუჩაზე გამომავალ №76-შენობას ემიჯნებოდა. დღეის მდგომარეობით აღნიშნული შენობა დაშლილია და შემოსვლისთანავე მხოლოდ ერთსართულიან ნაგებობას ვხვდებით.



ბარნოვის I ჩიხი №4

დაბალი ორსართულიანი ნაგებობა, ძირითადი ფასადით ჩიხს ეხსნება. შენობა აგურით არის ნაშენი და უსახური ნალესობით იფარება. საკმაოდ გრძელი კედლის ძირითად ზედაპირს მონოტონურად გაჭრილი ღიობები სერავს. შენობას არანაირი მხატვრული არქიტექტურული გამომსახველობა არ გააჩნია და თავის დროზე ძირითადი შენობის ერთგვარ რეპლიკას წარმოადგენდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ №76-შო განთავსებული შენობა დაშლილია, შესაბამისად ბარნოვის შეს I №4-ში მდებარე შენობა, საერთო კონტექსტიდან ერთგვარად ამოვარდნილი ჩანს.



აეროფოტო, დეტალი, 2014 წელი

ბარნოვის ჩიხის ერთგვარ სახასიათო ელემენტს მწვანე საფარის სიუხვე წარმოადგენს. როგორც ჩანს აღნიშნული ელემენტი ე.წ. „ხიდიანი“ სახლის პროექტირებისას იყო გათვალისწინებული და თითოეული ბლოკის წინ ხეებია დარგული. ასევე მწვანე საფარი გვხვდება საპროექტო ტერიტორიის წინ არსებლ მცირე კურდონერშიც.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ვ. ბარნოვის I შეს. №4-ში მდებარე შენობის დაშლა და ახალი მოცულობის აგება არის გათვალისწინებული. ვფიქრობთ რომ შესაფერისი პროექტის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია აღნიშნული სამუშაოს განხორციელება, ამასთან უცვლელი რჩება ვ. ბარნვის ქ. №76-ის რეკომენდაციები, ამასთან საგულისხმოა შემდეგი:

- ✓ დაუშვებელია მოხდეს ორი საკადასტრო ერთეულის გაერთიანება, ერთიანი მოცულობის ჩადგმის მიზნით;
- ✓ მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით განისაზღვროს ახალი მოცულობის სიმაღლე/სართულიანობა;

- ✓ მიმდებარე განაშენიანებისა და ქუჩასთან მიმართებით დარეგულირდეს ნაგებობის მოცულობა/მასშტაბი, რომელიც სასურველია განისაზღვროს შეძლებისდაგვარად მორგებული, დამჯდარი პროპორციით;
- ✓ შენობის საფასადო მხარის გადაწყვეტისას, სასურველია გამოყენებულ იქნას ისტორიული განაშენიანებისათვის მახასიათებელი ელემენტები, რათა რომ ახალი მოცულობის ფასადი ორგანულად ჩაეწეროს მასში; დაუშვებელია კიჩური, ძველთან მისადაგებული ბუტაფორიული პროექტი; შესაძლებელია თანამედროვე სტილისტურად გააზრებული პროექტის არსებობაც;
- ✓ ვფიქრობთ შესაფერისი პროეტქის საფუძველზე, შესაძლებელია ბარნოვის ჩიხის მხარეს, სახლ №4-ის წინ არსებული სივრცის გამოყენება;
- ✓ სასურველია შენარჩუნდეს შენობის მიმდებარედ არსებული მწვანე ნარგავები.

სასურველია ახალმშენებლობა ორგანულად, უმტკივნეულოდ ჩაეწეროს უბნის უკვე მხატვრულად ჩამოყალიბებულ სურათში, მკვეთრი ამოვარდნისა და დისონანსის გარეშე.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია